

ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიას სასწავლო ლაბორატორიებში ლაბორანტის პოზიციაზე - **მცენარეთა ბიოლოგია, მცენარეთა ფიზიოლოგია და ბოტანიკის მიმართულებით.**

ლაბორანტი პასუხს აგებს შესაბამის დისციპლინებში ლაბორატორიულ-პრაქტიკული მეცადინეობების ტექნიკურ უზრუნველყოფაზე, კერძოდ: სასწავლო ლაბორატორიის მომზადება მეცადინეობის ამოცანებიდან გამომდინარე, პედაგოგის ასისტირება მეცადინეობის დროს, მეცადინეობის დასრულების შემდეგ ლაბორატორის მოწესრიგება, მასალების და მარაგების შენახვა და შესაბამისი აღნუსხვა, ლაბორატორიის მართვაში მონაწილეობის მიღება Covid-19 რეგულაციების შესაბამისად.

ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და პიროვნული თვისებები:

- ბაკალავრის ხარისხი ან მაგისტრატურის სტუდენტი - აუცილებელია აგრარული მიმართულებით;
- საბაზისო ცოდნა მც. ბიოლოგიის, მც. ფიზიოლოგიის და ბოტანიკის დისციპლინებში;
- მცენარეთა მოყვანა-გამრავლების სპეციფიკის ცოდნა;
- პრიორიტეტულია კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნა;
- სასურველია ინგლისური ენის ცოდნა.;
- დისციპლინის, წესებისა და პროცედურების დაცვა;
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- ინფორმაციის ანალიზის და გადაცემის უნარი;
- დამოუკიდებლად და გუნდურად მუშაობის უნარები.
- დროის ეფექტური მართვის უნარი.
- კომუნიკაბელურობა.

სამუშაო სრული განაკვეთი.

ანაზღაურება განისაზღვრება ინდივიდუალური მოლაპარაკების საფუძველზე.

აპლიკაციის პროცესი:

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა გააგზავნონ რეზიუმე (CV) ელ-ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: vacancy@agruni.edu.ge

გთხოვთ, წერილის სათაურის ველში მიუთითოთ „**ლაბორანტი**“. განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა **2022 წლის 23 იანვარი**.

კონკურსი ჩატარდება გასაუბრებით.

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი #240;

ელ-ფოსტა: vacancy@agruni.edu.ge

ვებ-გვერდი: www.agruni.edu.ge